

მეხუთეკლასელთა ნარატიული და არგუმენტირებული წერის უნარების  
გაუმჯობესება

ნინო გოგლიჩიძე

თამარ ჭანტურია

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ადღულაძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ნინო გოგლიჩიძე

თამარ ჭანტურია

26.06.2017

## მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ პირს, რომელთა ჩართულობითა და მხარდაჭერითაც შევძელით დასახული მიზნების მიღწევა.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული კერძო სკოლის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერსა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, დაინტერესებულსა და აქტიური თანამშრომლობისთვის.

მადლობას ვუხდით ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეებს, რომელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე გაგვიჭირდებოდა კვლევის განხორციელება. აგრეთვე, მადლობას ვუხდით მოსწავლეთა მშობლებს, ბავშვების კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობისათვის.

მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია ანდლულაძეს.

მადლობას ვუხდით საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელს, პაატა პაპავას, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მხარდაჭერისთვის, პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მეხუთეკლასელთა არგუმენტირებული და ნარატიული წერის უნარების განვითარების მიმართულებით ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა წერის უნარების დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ეფექტური ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი პრაქტიკის კვლევის მიზანი არ ყოფილა მხოლოდ მოსწავლეთა წერის კომპეტენციების ამაღლება, მასში ყურადღება გამახვილებულია ნაწერის შეფასების ეფექტური ინსტრუმენტის მნიშვნელობაზეც. აღნიშნულ კვლევაში მოსწავლეთა ნარატიული და არგუმენტირებული წერის უნარების გაუმჯობესებისთვის რელევანტურ ინტერვენციებთან ერთად გამოვიყენეთ ნაწერის 6 მახასიათებლით შეფასების რუბრიკაც.

შერეული ტიპის კვლევისთვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ სამი ტიპის დავალებისაგან (არგუმენტირებული, საინფორმაციო და ნარატიული) შედგენილი ტესტი. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენეთ ინტერვიუ და კითხვარი. მონაცემთა დამუშავებისთვის გამოვიყენეთ სტატისტიკური პროგრამა SPSS.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა გააუმჯობესა ზოგადი სურათი მოსწავლეთა წერის უნარების განვითარების კუთხით. ნაწერის შეფასებისთვის ჩვენ მიერ შეთავაზებული რუბრიკის თითქმის ყველა კომპონენტში აღინიშნა პროგრესი, თუმცა მოსწავლეთა წერის უნარების გაუმჯობესებაზე ინტერვენციების ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებში წერის უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: ავთენტური თემატიკა, ინტერაქტიული აქტივობები, დავალებები და სავარჯიშოები, გამჭვირვალე და ვალიდური შეფასების სისტემა, დროული და მიზნობრივი სკაფოლდინგი, შეფასების რუბრიკისა და რელევანტური აქტივობების კომბინირებულად გამოყენება.

**სამიზნო სიტყვები:** წერა, ინტერვენცია, პრაქტიკის კვლევა, ხარაჩობა, ნაწერის ექვსი მახასიათებელი, რუბრიკა.

## **Abstract**

The following paper presents action research report regarding the fifth graders' argumentative and narrative writing skills development issues.

The research aimed to plan and implement the effective interventions to eradicate problems identified on diagnostic stage. It is noteworthy to mention that goal of the research was not only to improve students' writing competences, but the research focuses on the importances of effective assessment tools. In the Study along with relevant interventions for improving students' narrative and argumentative writing skills, we used 6 assessment tools.

For conducted complex research there was used quantitative and qualitative research methods. There was used a text with three types of task as a quantitative research instrument (Argumentative, informative, narrative). As a qualitative research instrument was used interview and questionnaire. Data were processed via SPSS.

The results have shown that interventions improved the overall picture of students' writing skills development. Progress was noted in almost every component of written work assessment rubrics offered by us. Though, effect of interventions on writing skills development was not statistically significant.

Based on the conducted research we consider that for writing skill development we should offer students to use combined authentic themes/subjects, interactive activities, tasks and exercises, transparent and valid assessment system, timely and targeted scaffolding, assessment rubrics and relevant activities.

**Keywords:** Writing, Intervention, Action research, Scaffolding, 6 treats of writing, Rubric.